საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედია

რუდიკ ცატავა

დაიბადა 1947 წლის 1 იანვარს ქ. გალში. 1967 წელს დაამთავრა ფოთის ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმი, ხოლო 1976 წელს როსტოვის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტის სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ფაკულტეტი, 1981 წელს კი ლენინგრადის ჰიდროსამშენებლო აკადემია.

მუშაობდა სამშენებლო ტრესტ „კოლხეთმშენი“-ს #2 სამშენებლო სამმართველოში მთავარ ინჟინრად და უფროსად, გალის საშენ მასალათა კომბინატის დირექტორად.

იყო სსრკ სპორტკომიტეტის გალის #16 სამშენებლო სამმართველოს უფროსი, საკავშირო დაქვემდებარების ჰიდროსამექანიზაციო-სამშენებლო ტრესტისა და საქართველოს აგროსამრეწველო კომიტეტის გალის #2 სამშენებლო ტრესტის მმართველი.

იყო გალის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს ეკონომიკური წარმომადგენლობის თავმჯდომარის მოადგილე რუსეთის ფედერაციაში. 1991 წელს არჩეული იყო აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. იყო უმაღლესი საბჭოს მშენებლობისა და მრეწველობის მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

1998-2003 წლებში მუშაობდა აფხაზეთის ა/რ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, ხოლო 2003 წლიდან არის აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი და ფრაქციის თავმჯდომარე.

მისი მონაწილეობით და ხელმძღვანელობით ქ. გალში აშენდა ჩაის ორი ფაბრიკა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი ქარხანა, რესპუბლიკური მნიშვნელობის სამეანო-გინეკოლოგიური ცენტრი, კულტურულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებელი კომპლექსი „სათანჯო“, ცენტრალური საფეხბურთო სტადიონი, საკავშირო ნაკრებთა სასწავლო-სამწვრთნელო ოლიმპიური ცენტრი ნიჩბოსნობაში, საცხენოსნო სკოლა და იპოდრომი, სკოლები და საბავშვო ბაღები, კერძო სახლები უმწეო და მიუსაფარი ოჯახებისთვის (სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში) და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტი.

აქტიურად იყო ჩართული კოლხეთის დაბლობის დაჭაობებული მიწების დაშრობის, ათვისებისა და, ხიდებითა და გზებით განაშენიანების საქმეში.

მინიჭებული აქვს სსრკ დამსახურებული ინჟინრის, სსრკ და საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებლის წოდებები, აღიარებული იყო „საბჭოთა კავშირის 1987

წლის საუკეთესო მშენებლად“, არის სსრკ და საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატი.

1992-1993 წლებში იყო გალის რაიონის გამგეობის თავმჯდომარე, და ამავდროულად სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე. პრეზიდენტის განკარგულებით მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება. ამჟამად თადარიგის პოლკოვნიკი.

1993 წლის მიწურულს სახელმწიფო მეთაურის გადაწყვეტილებით დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის ორდენით, რაზეც უარი თქვა.

საჯარო სამსახურში ხანგრძლივი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის მიმართ გამოხატული თანადგომისა და აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობისათვის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და დარგობრივ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რუდიკ ცატავა დაჯილდოვდა ღირსების ორდენით 2016 წელს.